

სალომე ბელქანია

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: salomebelkania@gmail.com

სოციალური პროტესტების სატელევიზიო გაშუქების ძირითადი ასპექტები და ფრეიმები ნამახვანჭესის მაგალითზე

აბსტრაქტი

სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია სატელევიზიო მედიაში ნამახვანჭესის პროექტის წინააღმდეგ გამართული სოციალური პროტესტების გაშუქების თავისებურებები. აღნიშნული პროექტის წინააღმდეგ მიმართული საზოგადოებრივი პროტესტები 2020 – 2021 წლებში აქტიურად შუქდებოდა ქართულ სატელევიზიო მედიაში. საკვლევად შერჩეულია ოთხი სატელევიზიო არხი: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“, „რუსთავი 2“ და „პალიტრანიუსი“. ჩამოთვლილი მედიასაშუალებები, მეტწილად, საახალამბებო ფორმატში სხვადასხვა აქცენტით წარმოაჩენდნენ საპროტესტო აქციებს. ნაშრომში, საკვლევი თემისადმი მიძღვნილი 60 ვიდეოსიუჟეტი ვიდეო კონტენტ - ანალიზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზდა. კვლევის თეორიული ჩარჩოა ფრეიმინგის თეორია, რომლის საფუძველზეც შესწავლილია ნამახვანჭესის საწინააღმდეგო პროტესტისადმი მიძღვნილი სატელევიზიო სიუჟეტებში გამოვლენილი ფრეიმები.

კვლევის შედეგებიდან გამოვლინდა, რომ ნამახვანჭესის პროტესტის გაშუქებაში მკაფიოდ იკვეთება სატელევიზიო არხების პოლიტიკური მიკუთვნებულობის გავლენა. საზოგადოებრივ მაუწყებელსა და პალიტრანიუსზე პროტესტი უფრო ნეიტრალური და პოზიტიური ფრეიმებით იყო წარმოჩენილი მაშინ, როდესაც „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე აქცენტი პროტესტის რადიკალურობასა და შესაძლო დესტაბილიზაციაზე კეთდებოდა. ნამახვანჭესის პროტესტის გაშუქების კვლევა ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ექცევა სოციალური პროტესტები მედიაფრეიმებში და როგორ ფორმირდება საზოგადოებრივი აზრი სხვადასხვა საინფორმაციო სტრატეგიის მეშვეობით.

აღნიშნულ საკვლევ საკითხს აქტუალურობას სძენს ის, რომ ნამახვანჭესის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი საქართველოს

უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და ხანგრძლივი სოციალური პროტესტი იყო. პროტესტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია როგორც საზოგადოებაში, ისე სამთავრობო დონეზე. ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის წინააღმდეგ გამართული პროტესტის კვლევა მედიაეფექტების ჭრილში მნიშვნელოვანია, ვინაიდან აქამდე აღნიშნული საკითხი სამეცნიერო კუთხით საქართველოში არ ყოფილა შესწავლილი. შესაბამისად, ამ მხრივ სტატია აკადემიური კვლევების შევსებას ემსახურება. ასევე, არ არსებობს მედიისთვის ქართულ ენაზე დაწერილი გაიდლაინები ან ეთიკური ნორმები მსგავსი საკითხების გაშუქების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ნამახვანჰესი, სოციალური პროტესტი, ფრეიმინგი, სატელევიზიო მედია, საზოგადოებრივი აღქმა

შესავალი

სატელევიზიო მედიას დიდი როლი ენიჭება მნიშვნელოვანი მოვლენების მიმართ საზოგადოების განწყობის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე დემონსტრაციებსა და პროტესტებს ეხება. მედიაარხების მეშვეობით საზოგადოება ინფორმაციას იღებს მიმდინარე მოვლენებზე, თუმცა ამ პროცესში მედიის თხრობითი სტილი და ვიზუალური მხარე დიდწილად განსაზღვრავს იმას, თუ როგორ აღიქვამს მაყურებელი ამ მოვლენებს.

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის¹ წინააღმდეგ გამართული პროტესტი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და მრავალგანზომილებიანი სოციალური მოძრაობაა თანამედროვე საქართველოში. ის არ არის მხოლოდ გარემოსდაცვითი აქტივიზმის გამოხატულება, არამედ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, ენერგეტიკული და პოლიტიკური დებატების ნაწილიცაა.

სატელევიზიო მედიასაშუალებებმა, როგორც მთავარმა საინფორმაციო არხებმა, დიდი როლი შეასრულეს აღნიშნული პროტესტის საზოგადოებრივ დისკურსში ინტეგრირებისათვის. გაშუქების ფორმა, თემატური აქცენტები და ნარატივები პირდაპირ ახდენდნენ გავლენას იმაზე, თუ როგორ აღიქმებოდა საზოგადოებაში აღნიშნული მოვლენა – როგორც ლეგიტიმური სამოქალაქო მოძრაობა, რომელიც გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის იდეებს ემსახურება, თუ როგორც კონფლიქტისა და დაპირისპირების წყარო. ეს გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც მედია მოვლენებს სხვადასხვა ფრეიმის საშუალებით წარმოაჩენს, ერთი მხრივ, მან შეიძლება ხაზი გაუსვას კონკრეტულ ასპექტებს, თუმცა, ამავდროულად, შესაძლოა, სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, სრულიად უგულებელყოს და არ გააშუქოს.

დღეს, როდესაც საქართველოში ტრადიციულ ტელემედიას ჯერ კიდევ აქვს საზოგადოებაზე ძლიერი გავლენა, ხოლო ციფრული მედია სოციალურ პროტესტებში უფრო მეტი აქტორის ჩართვის საშუალებას იძლევა, მნიშვნელოვანია იმის ანალიზი, თუ როგორ შუქდება ნამახვანჰესის მსგავსი პროტესტი ქართულ სატელევიზიო მედიაში.

ამგვარად, კვლევის მიზანია, შევისწავლოთ, თუ როგორ და რა მახასიათებლებით გაშუქდა ქართულ ტელემედიაში სოციალური პროტესტები ნამახვანჰესის მაგალითზე, რათა გამოვლინდეს, როგორ წარმოაჩენდნენ სატელევიზიო არხები, ერთი მხრივ, პროტესტის

¹ სტატიაში პროტესტი მოხსენიებულია როგორც ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი, შემოკლებით – ნამახვანჰესის პროტესტი, რადგან მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში იგი სწორედ ამ სახელით არის აღნიშნული. ვინაიდან პროტესტი ამ ხელშეკრულებამ გამოიწვია და ჰესის ოფიციალური სახელწოდებაც ასეა ჩაწერილი ხელშეკრულებაში, სტატიაშიც აღნიშნული სახელწოდებაა გამოყენებული.

მონაწილეებს, მათ მოთხოვნებსა და მთავარ საკითხებს, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენად აისახა გაშუქებისას პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ინტერესები.

მოცემული კვლევა არა მხოლოდ ნამახვანჰესის პროტესტის გაშუქების კონტექსტში გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას, არამედ ქმნის ზოგად წარმოდგენას იმაზე, თუ რა თავისებურებებით აშუქებს ქართული ტელემედია სოციალურ პროტესტებს.

ამგვარად, მთავარი საკვლევი კითხვებია:

1. რა ძირითადი ნარატივები დომინირებდა ნამახვანჰესის საპროტესტო აქციების სატელევიზიო გაშუქებისას და რამდენად აისახებოდა მასში პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ასპექტები.
2. როგორი ფრეიმები გამოიყენა სატელევიზიო მედიამ საპროტესტო აქციების გაშუქებისას?

ლიტერატურის მიმოხილვა

ნამახვანჰესის პროტესტების ისტორია

ნამახვანჰესის წინააღმდეგ პროტესტი საქართველოში 2020 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2021 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. თავდაპირველად, ადგილობრივმა მოსახლეობამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააპროტესტეს ჰესის მშენებლობა, რომელიც, მათი აზრით, საფრთხეს უქმნიდა გარემოს და რეგიონის ეკოსისტემას.

პროტესტი, დროთა განმავლობაში, გაფართოვდა, განსაკუთრებით, 2021 წლის თებერვლიდან, როდესაც აქტივისტებმა ნამახვანის ტერიტორიაზე კარვები გაშალეს და უწყვეტი პიკეტირება დაიწყეს. 2021 წლის აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში ქუთაისში გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები, სადაც ათასობით ადამიანი მონაწილეობდა (jam - news, 2021). პროტესტის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ჰესის მშენებლობის შეჩერება და ინვესტორთან დადებული ხელშეკრულების გადახედვა იყო. 2021 წლის ივნისში მოძრაობის ლიდერები ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების პროცესში ჩაერთნენ. საბოლოოდ, 2021 წლის სექტემბერში, ინვესტორმა, თურქულმა კომპანიამ „ენკამ“ გამოაცხადა, რომ პროექტიდან გადიოდა, რის შემდეგაც საპროტესტო გამოსვლები დასრულდა (ზოგვერაძე, 2022).

ნამახვანჰესის პროექტი ითვალისწინებდა მასშტაბური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, რომელიც მდინარე რიონზე, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში უნდა განხორციელებულიყო. პროექტი ორი ჰესისგან შედგებოდა – ნამახვანისა და ტვიშის ჰესების, რომელთა ჯამური სიმძლავრე 430 მეგავატი უნდა ყოფილიყო. პროექტის ავტორების თანახმად, მისი

მთავარი მიზანი საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გაძლიერება და ელექტროენერჯის ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდა იყო. მისი ღირებულება დაახლოებით 800 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო განხორციელებას ნორვეგიულ-თურქული კომპანია „ენკა რინიუებლზი“ ხელმძღვანელობდა (ჭეიშვილი, 2021). ნამახვანჭესის პროექტმა საზოგადოებაში დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ადგილობრივი მოსახლეობა და სამოქალაქო აქტივისტები აქტიურად აპროტესტებდნენ მის მშენებლობას სხვადასხვა მიზეზის გამო. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, მათი თქმით, მოსალოდნელი გარემოსდაცვითი ზიანი იყო – მდინარე რიონზე კაშხლის აგება საფრთხეს უქმნიდა ეკოსისტემას, მდინარის ბუნებრივ დინებას და ბიომრავალფეროვნებას. პროექტი ასევე მაღალ სეისმურ ზონაში მდებარეობდა, რაც შესაძლო გეოლოგიურ საფრთხეებს ქმნიდა. გარდა ამისა, ნამახვანჭესის აშენება რამდენიმე სოფლის დატბორვას და მოსახლეობის იძულებით გადასახლებას ითვალისწინებდა, რაც ადგილობრივთა უკმაყოფილებას კიდევ უფრო ზრდიდა (მწვანე ალტერნატივა, 2023).

პროექტის საწინააღმდეგო პროტესტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო საინვესტიციო ხელშეკრულების პირობები. მოძრაობა „რიონის ხეობის მცველები“² მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს მთავრობამ თურქულ კომპანიასთან შეთანხმება ქვეყნის ინტერესების საზიანოდ დადო. შეთანხმების მიხედვით, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის უფლებები მთლიანად გადაეცემოდა „ენკა რინიუებლზს“ 99 წლით, რაც ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას რეალურად ეჭვქვეშ აყენებდა. ამასთან, პროექტის ეკონომიკური სარგებელიც საეჭვოდ მიიჩნეოდა, რადგან საქართველო საბოლოოდ შეიძლება დამოკიდებული გამხდარიყო კერძო უცხოური კომპანიის მიერ წარმოებულ ენერჯიაზე (ლანჩავა, 2021).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მზარდი პროტესტის ფონზე, 2021 წლის ივნისში „ენკა რინიუებლზმა“ განაცხადა, რომ პროექტის განხორციელებას დროებით აჩერებდა. რამდენიმე თვეში, სექტემბერში, კომპანიამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ნამახვანჭესის პროექტიდან სრულად გადიოდა. მოგვიანებით, „ენკა რინიუებლზმა“ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო არბიტრაჟში სარჩელი შეიტანა, რადგან მიიჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საინვესტიციო ხელშეკრულება დაარღვია, ხოლო 2024 წელს კომპანიამ დავა მოიგო (ნეტგაზეთი, 2024).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოძრაობა „რიონის ხეობის მცველების“ პროტესტი თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე

² „რიონის ხეობის მცველები“ არის ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი აქტივისტური ჯგუფი, რომელიც შეიქმნა რიონის ხეობაში დაგეგმილი ჰესების, მათ შორის ნამახვანჭესის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტების დროს.

წარმატებულ სოციალურ პროტესტად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან მან მოახერხა საპროტესტო ხმის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან მიწვდენა და საკუთარი პოზიციის ბოლომდე დაცვა.³

მედია და სოციალური პროტესტი

სოციალურ პროტესტებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების პროცესში, რადგან აღნიშნული ფორმით მარგინალიზებულ ჯგუფებს საშუალება ეძლევათ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ასევე გარემოსდაცვით საკითხებზე ხმა აიმაღლონ და საზოგადოების ყურადღება მიიპყრონ (Tilly, 2019). სოციალური პროტესტების არსებობა და მასშტაბი მჭიდროდ არის დაკავშირებული მედიის ხელმისაწვდომობასა და გაშუქებასთან, რაც განსაზღვრავს იმას, თუ როგორ აღიქმება მსგავსი პროტესტები: იღებენ ისინი ამ გზით საზოგადოების მხარდაჭერას თუ პირიქით, ნეგატიური გაშუქებით მათი დემონიზების ან დისკრედიტაციის ხელშეწყობა ხდება (Castells, 2015).

მედიის ხელმისაწვდომობა სოციალური პროტესტებისთვის ხილვადობისა და გავლენის მოსაპოვებლად ფუნდამენტური ფაქტორია. ისეთ ეპოქაში, რომელშიც ინფორმაცია ფართოდ ვრცელდება ციფრული პლატფორმებით, ტრადიციული მედია ვეღარ ინარჩუნებს დომინანტურ პოზიციას საზოგადოებრივ დისკურსში (Bennett & Segerberg, 2012). მსგავსი პროტესტების დროს მონაწილეები აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიას, რათა გვერდი აუარონ შესაძლო ცენზურას, რეალურ დროში ავრცელებენ ინფორმაციას, რათა ამ გზით დროულად შეძლონ მხარდამჭერების მობილიზაცია (Tufekci, 2017). მედიის ამგვარი ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევს სოციალურ მოძრაობებს, ხმა მიაწვდინონ გლობალურ აუდიტორიას, შექმნან კონტრნარატივები და გამოწვევის ქვეშ დააყენონ ტრადიციული მედია სახე. მიუხედავად ციფრულ მედიაზე შედარებით ფართო წვდომისა, მაინც არსებობს გარკვეული უთანასწორობა სოციალურ მედიაზე ან სხვა მედიასაშუალებებზე წვდომასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული მედიაცენზურა და ციფრული ალგორითმების მიკერძოება ხშირად შეიძლება ხელს უშლიდეს გარკვეულ ჯგუფებს, გააძლიერონ თავიანთი ხმები და მიწვდენენ ფართო აუდიტორიას (Hintz, Dencik, & Wahl-Jorgensen, 2019).

სოციალური პროტესტების გაშუქება ტრადიციულ მედიაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე და პოლიტიკოსების ან მთავრობის რეაქციაზე. როგორც უკვე აღინიშნა,

³ მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან ნამახვანჭვის საკითხის აქტუალიზაცია ხდება, რაც ახალი ინვესტორის მოძიების და პროექტის მშენებლობის დაწყების ეჭვს აჩენს, ამ ეტაპზე ჰვის მშენებლობა ოფიციალურად შეწყვეტილია.

სატელევიზიო მედიამ შესაძლოა ლეგიტიმურობა მიანიჭოს მოძრაობებს, მათი მიზნების გამოკვეთით, ან, პირიქით, მოახდინოს მათი დელეგიტიმაცია, დემონსტრანტების როგორც დესტრუქციული ან ძალადობრივი ჯგუფის წარმოჩენით (McLeod, 2007). ხშირ შემთხვევაში, კორპორაციული/კერძო ან სახელმწიფოს მიერ მართული მედია თავის ნარატივებს პოლიტიკურ ჯგუფებთან ათანხმებს, რაც გავლენას ახდენს გაშუქების ნეიტრალურობასა და ობიექტურობაზე. ამგვარი შერჩევითი გაშუქება შეიძლება დეზინფორმაციის, საზოგადოებრივი უკმაყოფილების ან დემონსტრანტების წინააღმდეგ გაძლიერებული რეპრესიების მიზეზი გახდეს. მოძრაობები, რომლებიც ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ძალაუფლებას უპირისპირდებიან, ხშირად აწყდებიან ნეგატიურ მედიასახვას ან მედიის მხრიდან სრულ უგულებელყოფას მაშინ, როდესაც დომინანტურ ნარატივებთან შესაბამისობაში მყოფი პროტესტები უფრო დადებითი კუთხით შეიძლება გაშუქდეს (Chomsky & Herman, 1988).

სოციალური პროტესტების კვლევისას მნიშვნელოვანია განვმარტოთ ამ ცნების მნიშვნელობა: სოციალური პროტესტი განისაზღვრება როგორც კოლექტიური ქმედება, რომლის მიზანია არსებული სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა ან გაუმჯობესება. ეს ქმედებები შეიძლება მოიცავდეს მშვიდობიან დემონსტრაციებს, მიტინგებს, პეტიციებს და სხვა ფორმებს, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ცვლილებების მიღწევისკენ (Gamson, 1990).

ნამოხვანჭვის პროექტის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი არის სოციალური პროტესტის ნათელი მაგალითი. ადგილობრივი მოსახლეობა და ჰესის აშენების მოწინააღმდეგე აქტივისტები გაერთიანდნენ და შექმნეს მოძრაობა "რიონის ხეობის მცველები", რათა გამოეხატათ პროტესტი ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ. მათი პროტესტი ეხებოდა როგორც გარემოს დაცვის, ისე სოციალურ და ეკონომიკურ თემებს, რაც თავის მხრივ, ნათლად ასახავს სოციალური პროტესტის არსს.

პროტესტის გაშუქების ეთიკური ასპექტები და მედიის უსაფრთხოება

დემონსტრაციების და პროტესტების გაშუქება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავდროულად გამოწვევებით სავსე ამოცანაა ჟურნალისტებისთვის. ასეთ მოვლენებზე ობიექტური და სამართლიანი რეპორტაჟის მომზადება ჟურნალისტური ეთიკის ფუნდამენტურ პრინციპებთან შესაბამისობაში უნდა იყოს, რათა საზოგადოებამ მიიღოს ზუსტი, დაბალანსებული და კონტექსტში მოქცეული ინფორმაცია.

ჟურნალისტური ეთიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ფაქტების სიზუსტეა. ინფორმაცია, რომელიც პროტესტის შესახებ ვრცელდება,

უნდა ეფუძნებოდეს გადამოწმებულ წყაროებს და არ უნდა შეიცავდეს დეზინფორმაციას ან მიკერძოებულ შეფასებებს (Silverman, 2015). შესაბამისად, ჟურნალისტიკა უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი წყაროები, რათა დაიცვას ობიექტურობის პრინციპი და არ დაეყრდნოს მხოლოდ ერთ მხარეს. მაგალითად, პროტესტის გაშუქებისას მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტიკა გააშუქოს როგორც მონაწილეთა, ისე ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიციები, თუ ეს შესაძლებელი და ხელმისაწვდომია (Azar, 2021).

პროტესტების გაშუქებისას ბალანსისა და მიუკერძოებლობის პრინციპი ასევე უმნიშვნელოვანესია, ჟურნალისტიკმა თავიდან უნდა აიცილოს ისეთი ენის გამოყენება, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს ემოციურად ან წარმოაჩენდეს ჟურნალისტს როგორც მხარეს. მაგალითად, ისეთი ტერმინები, როგორცაა „თავისუფლებისთვის მებრძოლები“ ან „დესტრუქციული ძალები“, შესაძლოა გავლენას ახდენდეს მაყურებლის ან მკითხველის აღქმაზე და ზიანს აყენებდეს ნეიტრალურობას. ამის ნაცვლად, აუცილებელია ისეთი ენით საუბარი, რომელიც მხოლოდ ფაქტებს გადმოსცემს, ემოციური დატვირთვის გარეშე (Walsh, 2020).

დემონსტრაციებზე მუშაობისას მედიის მხრიდან კონტექსტის სწორად წარმოჩენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტია. მხოლოდ მოვლენის ზედაპირული გაშუქება ხშირად არ იძლევა რეალური სურათის აღქმის საშუალებას. მაგალითად, BBC-ის ეთიკის სახელმძღვანელოს მიხედვით, პროტესტების გაშუქებისას ჟურნალისტიკმა უნდა წარმოაჩინონ არა მხოლოდ მიმდინარე მოვლენები, არამედ მათი მიზეზები, ისტორიული და სოციალური კონტექსტი, რაც აუდიტორიას ამბის უკეთ აღქმაში დაეხმარება (BBC Editorial Guidelines, 2019).

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, როდესაც პროტესტების გაშუქებაზე ვსაუბრობთ, ძალადობრივი კადრების გამოყენებაა. საერთაშორისო ჟურნალისტური პრაქტიკის მიხედვით, მედიამ უნდა შეაფასოს, რამდენად აუცილებელია ძალადობის ამსახველი მასალის გამოყენება და რამდენად შეიძლება მან ზიანი მიაყენოს როგორც მაყურებელს, ისე თავად პროტესტის მონაწილეებს. გარდა ამისა, არ არის რეკომენდებული ისეთი მასალის გამოქვეყნება, რომლითაც შესაძლებელია დემონსტრანტების იდენტიფიცირება თუ ეს საფრთხეს უქმნის მათ (Society of Professional Journalists, 2014).

ჟურნალისტიკები, რომლებიც პროტესტებს აშუქებენ, ვალდებული არიან დაიცვან სიზუსტის, ობიექტურობის და ადამიანის უფლებების პატივისცემის სტანდარტები. ეს არა მხოლოდ ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს აუდიტორიისთვის, არამედ ხელს უწყობს ჟურნალისტიკის, როგორც საზოგადოებრივი სანდოობის მქონე ინსტიტუტის, ფუნქციონირებას.

მედიისთვის პროტესტების გაშუქება არამარტო ეთიკური სტანდარტების დაცვას, არამედ უსაფრთხოების მკაცრი ზომების გათვალისწინებასაც მოითხოვს. მასობრივი დემონსტრაციები ხშირად შეიძლება გადაიზარდოს არეულობაში, რაც მედიის წარმომადგენლებს რისკის ქვეშ აყენებს. ამგვარი მოვლენების გაშუქებისას მნიშვნელოვანია წინასწარი მზადყოფნა, მათ შორის, სიტუაციის ანალიზი, სპეციალური დაცვის საშუალებების გამოყენება და გარკვეული გეგმის ქონა, რათა საფრთხის შექმნის შემთხვევაში ადგილიდან უსაფრთხოდ გამოსვლა იყოს შესაძლებელი (Committee to Protect Journalists, 2019). მსგავს სიტუაციაში უმთავრესია შესაბამისი აღჭურვილობის გამოყენება. ჟურნალისტებმა უნდა ატარონ პრესის მაიდენტიფიცირებელი საშუალებები, მაგრამ ამავდროულად, თავი უნდა აარიდონ ზედმეტად შესამჩნევი ნიშნების ტარებას, რადგან ისინი შეიძლება სწორედ ამის გამო გახდნენ სამიზნე. ძალადობრივი დაპირისპირების შემთხვევაში სასურველია ისეთი დამცავი აღჭურვილობის გამოყენება, როგორცაა ჩაფხუტი, დამცავი სათვალე და ნიღაბი. აგრეთვე, აუცილებელია ფიზიკური უსაფრთხოების პრინციპების დაცვა, მათ შორის, მოვლენების ეპიცენტრიდან გამოსასვლელი გზების ცოდნა და განსაკუთრებულ სიტუაციებში თანამშრომლებთან საკომუნიკაციო არხების ქონა (BBC, 2024).

გარდა ფიზიკური უსაფრთხოების ზომებისა, მნიშვნელოვანია ციფრული უსაფრთხოების დაცვაც. პროტესტების გაშუქებისას შესაძლოა ჟურნალისტი გახდეს კიბერშეტევის ან თვალთვალის სამიზნე, განსაკუთრებით ავტორიტარული რეჟიმების პირობებში. ასეთ სიტუაციაში სასურველია დამიფრული საკომუნიკაციო არხების გამოყენება, როგორცაა Signal ან VPN, ასევე, მონაცემების რეგულარული სარეზერვო კოპირება (Committee to Protect Journalists, 2019). პროტესტების გაშუქებისას უსაფრთხოების ზომების დაცვა არა მხოლოდ ჟურნალისტის პირადი დაცვისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ეს ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას და აუდიტორიამდე მიწოდებას.

კვლევის თეორიული ჩარჩო

სოციალური პროტესტების სატელევიზიო გაშუქების კვლევის თეორიულ ჩარჩოდ ფრეიმინგის თეორია შეირჩა, რადგანაც იგი აანალიზებს, თუ როგორ ახდენს მედია სხვადასხვა მოვლენის, საკითხის ან ჯგუფის აღქმების ფორმირებას კონკრეტულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებით ანდა გარკვეული ასპექტების სრულიად უგულებელყოფით. ფრეიმინგის თეორიის მიხედვით, ინფორმაციის წარმოჩენის გზა, ანუ „ფრეიმინგი“ აყალიბებს აუდიტორიის დამოკიდებულებას პროტესტისადმი. აღნიშნული თეორია პირველად ერვინ გოფმანმა შეიმუშავა თავის ნაშრომში “Frame Analysis” (Goffman,

1986). მას შემდეგ, გოფმანის კონცეფცია გაფართოვდა და სხვადასხვა დისციპლინაში, განსაკუთრებით მედიისა და კომუნიკაციის კვლევებში ფართოდ გამოიყენება.

გოფმანის მიხედვით, ფრეიმები კოგნიტური სტრუქტურებია, რომლებიც ინდივიდებს ეხმარება ინფორმაციის ორგანიზებასა და ინტერპრეტაციაში. მედია იყენებს ფრეიმებს, როგორც ინსტრუმენტებს, რათა მოვლენები ისე წარმოაჩინოს, რომ ისინი სოციალური ნორმებისა და ღირებულებების შესაბამისად აღიქმებოდეს. რობერტ ენტმანმა აღნიშნული კონცეფცია გააფართოვა თავის საკვანძო ნაშრომში “Framing: Toward Clarification of a Fractured Paradigm”, რომელშიც ფრეიმინგი აღწერა როგორც შერჩევისა და მნიშვნელოვნების პროცესი. ენტმანის მიხედვით, ფრეიმინგი გულისხმობს რეალობის გარკვეული ასპექტების გამოკვეთას, რათა ხელი შეეწყოს კონკრეტული ინტერპრეტაციის ან მორალური შეფასების ჩამოყალიბებას (Entman, 1993).

მედიის ფრეიმინგი მოქმედებს სხვადასხვა დონეზე, სათაურებში გამოყენებული ენიდან დაწყებული ვიზუალური მასალებითა და წყაროებით დამთავრებული. მაგალითისთვის, შანტო იენგარმა გამოყო ორი სახის ფრეიმი: ეპიზოდური ფრეიმები, რომლებიც აქცენტს აკეთებს კონკრეტულ მოვლენებზე ან ინდივიდებზე და თემატური ფრეიმები, რომლებიც საკითხის ფართო კონტექსტს წარმოაჩენს და სისტემურ ფაქტორებს უსვამს ხაზს. ფრეიმინგის მოცემული სტრატეგიები განაპირობებს იმას, თუ ვის და როგორ ანიჭებს აუდიტორია პასუხისმგებლობას სოციალურ საკითხებზე, ინდივიდუალურ ქმედებებსა თუ სტრუქტურულ პრობლემებთან მიმართებით (Iyengar, 1991).

ფრეიმინგის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი მედიაპროდუქტის შექმნის პროცესში არსებული ძალაუფლების დინამიკას ეხება. ტოდ გიტლინმა თავის წიგნში “The Whole World is Watching” აღწერა, თუ როგორ აძლიერებენ მედიის ფრეიმები არსებული ძალაუფლების სტრუქტურებს და ამცირებენ ალტერნატიული ხმების წონასა და მნიშვნელობას. გიტლინის ანალიზი, რომელიც ეხებოდა ახალ მემარცხენე მოძრაობას აშშ-ში, აჩვენებს, თუ როგორ წარმოაჩენდა მედია აქტივისტებს როგორც დეზორგანიზებულ და ძალადობრივ ჯგუფს, რაც ართმევდა მათ ლეგიტიმაციას საზოგადოების თვალში (Gitlin, 2003)

ემპირიულმა კვლევებმა ფრეიმინგის თეორიის პრაქტიკული გავლენა სხვადასხვა კონტექსტში კარგად წარმოაჩინა. დიტრამ შოიფელემ და დავიდ ტიუქსბერიმ შეისწავლეს, როგორ ახდენს გავლენას ფრეიმინგი პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესზე. მათი მოსაზრებით, კონფლიქტებზე ან სკანდალებზე ხაზგასმა მედიის მხრიდან ზრდის მაყურებელში ცინიზმს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ (Tewksbury & Scheufele, 2007). ანალოგიურად, თომას ნელსონმა, როზალი კლოსონმა და ზოი ოქსლიმ გააანალიზეს, როგორ მოქმედებს

ფრეიმინგი საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ფორმირებაზე სოციალური პოლიტიკის მიმართ. მათ იკვლიეს, თუ როგორ ახდენს მედია გავლენას ისეთი საკითხებზე, როგორებიცაა, კეთილდღეობა ან მიგრაცია. აღმოჩნდა, რომ მსგავსი თემების ფრეიმინგი საბოლოოდ აუდიტორიის პოლიტიკურ არჩევანზე დიდ გავლენას ახდენს (Nelson, Clawson, & Oxley, 1997).

მედიის ფრეიმინგის თეორია კრიტიკულ ჩარჩოს წარმოადგენს იმის გასაგებად, თუ როგორ გავლენას ახდენს იგი საზოგადოებრივ აღქმაზე. ინფორმაციის გარკვეული ასპექტების შერჩევისა და გამოკვეთის გზით მედია აყალიბებს ნარატივებს, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ და პოლიტიკურ დისკურსს. წამყვანი მკვლევრების, როგორებიცაა: გოფმანი, ენტმანი, გიტლინი და ა.შ., ნაშრომებში ხაზგასმულია ის ურთიერთკავშირი, რომელიც მედიის ფრეიმინგს, ძალაუფლებას და საზოგადოებრივ აზრს შორის არსებობს, რაც თავის მხრივ, ფრეიმინგის თეორიას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მედიის როლის ანალიზისთვის.

სოციალური პროტესტი ფრეიმინგის თეორიის კონტექსტში

ფრეიმინგის თეორია სოციალური პროტესტების კვლევისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო ჩარჩოს გვთავაზობს. როგორც უკვე აღინიშნა, ხშირად მედია განსაზღვრავს, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება პროტესტის მიზნებს, მონაწილეებსა და მათი ქმედებების ლეგიტიმურობას (Entman, 1993). სხვადასხვა მედიასაშუალება, როგორც წესი, მოვლენებს სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს. გაშუქების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროტესტს შეიძლება მიენიჭოს „სამართლებრივი“ და „სამოქალაქო“ მნიშვნელობა, ან პირიქით, ის შეიძლება წარმოჩნდეს „დესტრუქციული“ და „კრიმინალური“ ფრეიმით (Gitlin, 2003).

ერთი მხრივ, თუ მედია პროტესტს წარმოაჩენს, როგორც დემოკრატიული პროცესის ნაწილს, ეს ზრდის საზოგადოების მხარდაჭერას, ლეგიტიმაციას და პოლიტიკურ გავლენას. მსგავსი ფრეიმებით გაშუქებისას ყურადღება გამახვილებულია პროტესტის მიზნებზე, მაგალითად, სოციალურ უსამართლობასა და პროტესტის მონაწილეების სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე, რომელმაც თავად ეს პროტესტი გამოიწვია. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღებ და ძალაუფლების მქონე პირებს უფრო მეტად უჭირთ ასეთი პროტესტების დაიგნორება, რადგან ისინი საზოგადოებრივი დღის წესრიგის ნაწილად ყალიბდებიან (Modigliani & Gamson, 1989).

მეორე მხრივ, მედიის მიერ პროტესტის „ძალადობრივი“ ან „დესტრუქციული“ ფრეიმით გაშუქება ხელს უწყობს მის დელეგიტიმაციას. თუ მედიასაშუალება აქცენტს აკეთებს

არეულობებზე, ფიზიკურ კონფრონტაციაზე ან ინფრასტრუქტურის დაზიანებაზე, პროტესტის მთავარი მიზანი ყურადღების მიღმა რჩება (Boykoff, 2006). ამგვარი ფრეიმინგი ხელს უწყობს ზემდგომი პირების მხრიდან რეპრესიული ქმედებების განხორციელებას, ამცირებს საზოგადოების ემპათიას და პროტესტის ლეგიტიმაციას, ასევე ხშირად დემონსტრანტების „კრიმინალებად“ ან „უცხო ქვეყნის გავლენის აგენტებად“ წარმოჩენასაც ემსახურება. გარდა ამისა, მედიის მიერ გამოყენებული ენაც და ვიზუალური გამოსახულებებიც განაპირობებს პროტესტის შესაბამისად აღქმას საზოგადოებაში. როდესაც მედია აქცენტს აკეთებს „აქტივისტებზე“ და „მოქალაქეებზე“ (პოზიტიური ფრეიმი), ეს ამყარებს პროტესტის სამართლიან იმიჯს. ხოლო „რადიკალების“ ან „ანარქისტების“ გამოყენება (ნეგატიური ფრეიმი) საზოგადოების ყურადღებას პროტესტის ფორმაზე ამახვილებს და არა მის მიზეზებზე (Snow & Benford, 1992).

ფრეიმინგის თეორიის კუთხით სოციალური პროტესტების შესწავლა გვაჩვენებს მედიის მიერ წარმოჩენილ ნარატივებს, რომელიც არამხოლოდ საზოგადოებაში არსებული განწყობების ანარეკლია, არამედ თავად მედიის შექმნილი ნარატივებიცაა. მედიის მიერ არჩეული ფრეიმები განსაზღვრავს, გახდება თუ არა კონკრეტული პროტესტი საზოგადოებრივი დისკუსიის ნაწილი, მიიღებს თუ არა მას პოლიტიკური ელიტა სერიოზულად, და როგორ იმოქმედებს ის სოციალურ ცვლილებებზე (Johnston & Noakes, 2005).

კვლევის მეთოდი

ნამახვანჰესის წინააღმდეგ გამართული პროტესტების კვლევა ვიდეო კონტენტ - ანალიზის მეთოდით ჩატარდა. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია კოდირების ხერხი. შესწავლილ იქნა ხუთი სხვადასხვა ტელეარხის მიერ მომზადებული 60 სიუჟეტი, რომლებიც 2020-2021 წლებში ასახავდა ნამახვანჰესის პროტესტთან დაკავშირებულ მოვლენებს.

საკვლევად შეირჩა ოთხი სატელევიზიო არხი, რომლებიც მოიცავს როგორც ოპოზიციის მიმართ დადებითად, ისე მთავრობის მიმართ დადებითად განწყობილ მედიასაშუალებებს (ცეცხლაძე & გოგიაშვილი, 2019), ესენია: „რუსთავი 2“, „პალიტრანიუსი“, „იმედი“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. შესწავლილი 60 მასალიდან, 15-15 სიუჟეტი შეირჩა „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ და „პალიტრანიუსიდან“, ხოლო 15-15 სიუჟეტი - „იმედიდან“ და „რუსთავი 2“-იდან. ვინაიდან ვიდეომასალა მოძიებულია ღია წყაროებიდან, როგორებიცაა - „იუთუბის“ პლატფორმა და შესწავლილი სატელევიზიო მედიების ვებგვერდები, სატელევიზიო არხებიც შესაბამისი პრინციპით შეირჩა. გაანალიზდა იმ ტელეარხების ის სიუჟეტები და რეპორტაჟები,

რომლებიც ხელმისაწვდომი იყო საჯაროდ და რომლებშიც აქტიურად შეუქდებოდა ნამახვანჰესის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი.

მედიით გაშუქებული მასალა მოიცავს მხოლოდ ახალ ამბებში გაშუქებულ სიუჟეტებსა და რეპორტაჟებს, რომლებიც ნამახვანჰესის თემატიკას ეხებოდა. აღნიშნული სიუჟეტები და რეპორტაჟები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- რიონის ხეობაში გამართული პროტესტი;
- დემონსტრანტებს და კომპანიას შორის გამართული მოლაპარაკებები;
- ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებები;
- არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციები მოცემულ თემებზე;
- ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა ადგილზე და მათი საცხოვრებელი ადგილის იძულებით დატოვების საკითხი;
- ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მშენებლობაში ჩართული კომპანიისა და მისი წარმომადგენლების პოზიცია პროტესტთან დაკავშირებით.

ნამახვანჰესის საწინააღმდეგო პროტესტი სხვადასხვა სატელევიზიო არხის მიერ განსხვავებულად გაშუქდა. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“, „პალიტრანიუსი“ და „რუსთავი 2“ სხვადასხვა კუთხითა და აქცენტით აშუქებდნენ მოვლენებს, რაც მაყურებლის აღქმაზე გავლენას ახდენდა. ზოგიერთ შემთხვევაში, ტელეარხი ემხრობოდა პროტესტის მონაწილეებს და მათ მოთხოვნებს, ზოგჯერ კი – აქცენტს აკეთებდა ხელისუფლებისა და კომპანიის პოზიციაზე. ანალიზი მოიცავს კოდების ხუთ თემატურ კატეგორიას:

1. კონტენტი, რომელშიც აისახა შემდეგი კოდები: [პროტესტის] მიზანი, მოთხოვნა და ძირითადი მოვლენები;
2. მედიით წარმოჩენა, რომელიც მოიცავს შემდეგ კოდებს: ფრეიმინგის ტექნიკები, თხრობის აქცენტი და [ემოციური] ხაზგასმა;
3. აუდიოვიზუალური მხარე, რომელშიც აისახება კოდები: კადრი და ხმაური;
4. მედიაეფექტების ინდიკატორები, რომელიც მოიცავს შემდეგ კოდებს: საზოგადოებრივი აზრი, ქცევითი ეფექტები, ემოციური ეფექტები და პროტესტის [გაშუქების] ეფექტი;
5. ეთიკური და მიკერძოებული მოსაზრებები, რომელშიც გაერთიანდა შემდეგი კოდები: წყარო და მიკერძოების ინდიკატორები;

თითოეულ კატეგორიაში შესწავლილ იქნა შესაბამისი თემები, რომლებიც განაპირობებდნენ პროტესტების გაშუქებას და გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივ აღქმაზე. „კონტენტის“ კატეგორიაში შემავალი კოდები მოიცავს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც პროტესტის არსს განსაზღვრავენ. ესენია სოციალური სამართლიანობის ამსახველი თემები, როგორებიცაა: ხელფასების მომატება, სამუშაო

პირობების გაუმჯობესება და უსაფრთხოების ზომების გამკაცრება. ასევე, პროტესტის მონაწილეთა მოთხოვნები, მათ შორის: პოლიტიკის შეცვლა, დამსაქმებლის პასუხისმგებლობის გაზრდა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება. კონტენტის მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე მოიცავს პროტესტის ძირითად ფორმებს, როგორებიცაა: მარში, დემონსტრაცია და სიტყვით გამოსვლა.

„მედით წარმოჩენის“ კატეგორია ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ აშუქებდა პროტესტებს მედია და რა ტექნიკებს იყენებდა ინფორმაციის გადაცემისას. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრეიმინგის სტრატეგიები, რაც მოიცავს: პოზიტიურ, ნეგატიურ ან ნეიტრალურ გაშუქებას. ნარატივის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს თხრობის პერსპექტივა – დემონსტრანტების, დამსაქმებლის ან მთავრობის, ასევე მხარდამჭერების ხედვა. ხოლო ხაზგასმა გულისხმობს მედიის მხრიდან სხვადასხვა სიუჟეტში ემოციური, რაციონალური და ეთიკური ტონის გამოყენებას, რაც სატელევიზიო არხებს აძლევს საშუალებას, გავლენა მოახდინოს აუდიტორიის აღქმაზე.

„აუდიოვიზუალური მხარე“ მოიცავს იმ ვიზუალურ და ხმოვან ელემენტებს, რომლებიც მედიაში პროტესტის გაშუქებისას არის გამოყენებული. კადრების ანალიზი მოიცავს მშვიდობიან და ძალადობრივ სცენებს, ასევე სიმბოლურ სცენებს და გამოსახულებებს, როგორებიცაა: პლაკატები და ტრანსპარანტები. ხმოვანი კომპონენტები მოიცავს ფონურ ხმებს, გამომსვლელთა ხმებს, შემახილებს და სკანდირებას, რაც ქმნის საერთო ატმოსფეროს და განსაზღვრავს მედიაში პროტესტის გადმოცემის ფორმას.

“მედიაეფექტების ინდიკატორის“ კატეგორია აჩვენებს, თუ როგორ რეაგირებს საზოგადოება პროტესტზე და როგორი გავლენა აქვს მას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებზე. იგი გულისხმობს საზოგადოებრივ აზრზე გავლენას, დემონსტრანტების მხარდამჭერისა და წინააღმდეგობის ზრდას ან შემცირებას, ასევე პოლიტიკის შეცვლას. ქცევითი ეფექტებიდან გამორჩეული იყო მხარდამჭერების მობილიზაცია ან დემობილიზაცია, ხოლო ემოციური ეფექტები წარმოაჩენს შიშს, სოლიდარობას, უსამართლობის განცდას, უიმედობის გრძნობას და შფოთვას. ასევე, პროტესტის ეფექტმა წარმოაჩინა მონაწილეობის მოტივაციისა და დემოტივაციის საკითხები, პროტესტის გავრცელების დინამიკა და მხარდამჭერთა ზრდა.

„ეთიკური და მიკერძოებული მოსაზრებები“ - ეს კატეგორია ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ აისახება მედიაში პროტესტის გაშუქება და რამდენად ობიექტურია ინფორმაცია. შეფასდა სხვადასხვა ტიპის - ოფიციალური, დამოუკიდებელი და დემონსტრანტების წყაროები. მიკერძოების ინდიკატორებში კი შედის შერჩევითი გამოტოვება, ანუ საკითხის უგულვებლყოფა, დატვირთული/რთული

ენა და ასევე ვიზუალური მიკერძობა, რაც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება პროტესტს და მის მონაწილეებს.

სატელევიზიო სიუჟეტების და რეპორტაჟების კვლევისას გამოკვეთილი ძირითადი

ფრეიმები მოიცავს:

- კონფლიქტზე ორიენტირებულ გაშუქებას, სადაც აქცენტი კეთდება დაპირისპირებაზე პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის;
- ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებულ გაშუქებას, სადაც პროტესტი განხილულია ეკონომიკური პროგრესის შემაფერხებელ ფაქტორად;
- ეკოლოგიურ და სოციალურ რისკებზე ორიენტირებული გაშუქება, რომელიც აქცენტს აკეთებს გარემოსდაცვით და სოციალურ პრობლემებზე, რასაც პროტესტი ეხმიანება;
- პოლიტიზებული გაშუქება, როდესაც პროტესტი განიხილება პოლიტიკური პროცესების ნაწილად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევა ჩატარდა ვიდეო კონტენტ - ანალიზის თვისებრივი მეთოდით, რომელიც სპეციფიკურია და იშვიათად გამოიყენება და ჩვენი კვლევისთვისაც სიახლეა. მათიას ჰუბერი თავის სტატიაში „ვიდეოზე დაფუძნებული კონტენტ - ანალიზი“ განმარტავს ამ მიდგომის არსს და მის უნიკალურობას. იგი აღნიშნავს, რომ ეს მეთოდი არ შემოიფარგლება შინაარსის ზედაპირული განხილვით, არამედ იძლევა შესაძლებლობას, უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმა და კონტექსტი. იგი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევეჭიდოთ ტექსტებსა და ლინგვისტურ ელემენტებს და გავიგოთ არავერბალური კომუნიკაციის ნიუანსებიც. ვიდეომასალის შესწავლისას შეიძლება გამოვლინდეს ქცევითი შაბლონები, ჯგუფურ დინამიკაზე დაფუძნებული ურთიერთქმედებები და ინდივიდუალური ქცევის მახასიათებლები, რაც ამ მეთოდს განსაკუთრებულად ეფექტურს ხდის სოციალური კვლევებისთვის (Huber, 2020).

ჰუბერის მოსაზრებით, ვიდეოზე დაფუძნებული კონტენტ-ანალიზი განსაკუთრებით გამოსადეგია, როდესაც საჭიროა ჯგუფებს შორის კომუნიკაციის პროცესის, მათი შეხედულებებისა და ქმედებების სიღრმისეული შესწავლა. ამასთან, კვლევის განხორციელება შესაძლებელია როგორც არსებული თეორიული ჩარჩოების მიხედვით, ასევე ახალი დაკვირვებებისა და აღმოჩენების საფუძველზე.

ამ მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით რეკომენდებულია დიდი მოცულობის აუდიოვიზუალური მონაცემების დამუშავებისთვის, სადაც კოდირების სისტემებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მონაცემთა ანალიზის სიზუსტეს. შედეგად, ვიდეოზე დაფუძნებული კონტენტ-ანალიზი

უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად გვევლინება იმ სფეროებისთვის, სადაც კომუნიკაციის მრავალმხრივი ასპექტების შესწავლაა საჭირო (Huber, 2020).

ვიდეო კონტენტ-ანალიზის ფარგლებში განიხილება, რა რაკურსიდანაა გადაღებული პროტესტი, როგორია ქრონომეტრაჟი და მონტაჟის ტემპი, როგორ არიან ნაჩვენები დემონსტრანტები, როგორია პოლიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლების კადრირება, როგორ გამოიყენება ფერები ემოციური ეფექტისთვის, რამდენად გამოიყენება პროტესტისას არსებული ხმაური, ფონური მუსიკა და ტექსტური გაფორმება. ამ მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სატელევიზიო მედიაში ვიზუალური და აუდიო ელემენტები არანაკლებ როლს თამაშობს, ვიდრე ტექსტური ნარატივი. მედიასამუშაოებები ხშირად იყენებენ კადრების, მუსიკისა და მონტაჟის ტექნიკას, რათა შექმნან გარკვეული ემოციური კონტექსტი. ძალიან სწრაფი მონტაჟი და დაძაბული მუსიკა შესაძლოა ქმნიდეს კრიზისისა და დესტაბილიზაციის შთაბეჭდილებას, მაშინ როდესაც მშვიდი, გაწონასწორებული ტონი პროტესტს უფრო ლეგიტიმურად წარმოაჩენს.

კვლევის შედეგები

ნამახვანჭვის პროტესტის გაშუქებისას „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ პროტესტის მთავარ მიზანზე ანუ ჰესის ხელშეკრულების გადახედვასა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის შეჩერებაზე მეტად ამახვილებენ ყურადღებას. „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე ამ მიზნების გაშუქება ნაკლებად გამოკვეთილი ან საერთოდ უგულებელყოფილია, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი ზიანის კომპონენტი. მათი მხრიდან, აქცენტი უფრო მეტად ინვესტიციებსა და ენერგეტიკულ საჭიროებებზე კეთდება, რაც შესაძლოა პროტესტის მიზნების გადაფარვის მცდელობად ჩაითვალოს არა პერმანენტულად, თუმცა სპორადულად ოთხივე არხი აშუქებდა პროტესტის ძირითად მოთხოვნებს, რაც მოიცავდა მშენებლობის შეჩერებას, დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებას და პოლიტიკის შეცვლას. ამ შემთხვევაშიც, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ ამ საკითხებზე მეტ ინფორმაციას აწვდიდნენ მაყურებელს და მეტად წარმოაჩენდნენ პროტესტის მონაწილეების პოზიციებს. „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე ყურადღება გადატანილი იყო იმაზე, რომ პროექტი უკვე შეთანხმებული იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან და მოქმედებები კანონიერ ჩარჩოებში ხორციელდებოდა.

ყველა არხი აშუქებდა როგორც პროტესტს, ისე მოლაპარაკებებს, თუმცა „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე აქცენტი უფრო მოლაპარაკებების პროცესზე კეთდებოდა. ამგვარი გაშუქება ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ხელისუფლება კონსტრუქციულ დიალოგს აწარმოებდა, ხოლო

თავად პროტესტი შესაძლოა ზედმეტად ხისტი და რადიკალური იყო. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ უფრო მეტად წარმოაჩენდნენ პროტესტის დინამიკას, ასევე მოლაპარაკებების პროცესსაც.

ფრეიმების ანალიზი აჩვენებს, რომ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ და „პალიტრანიუსმა“ პროტესტის გაშუქება ნეიტრალურ ან პოზიტიურ კონტექსტში წარმოადგინეს, რაც პროტესტის ლეგიტიმურობას მეტად უსვამს ხაზს. „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე გაშუქება უფრო ნეგატიური ფრეიმებით ხდებოდა, როდესაც აქცენტი კეთდება პოტენციურ არეულობასა და პროცესის დესტრუქციულ ასპექტებზე. ნამახვანჭვის პროექტის საწინააღმდეგო პროტესტის კონტექსტში, ქართული ტელევიზიების მიერ გამოყენებული ფრეიმები მკაფიოდ აჩვენებს მედიის სარედაქციო პოლიტიკისა და ინტერესთა სხვაობებს. პროტესტის გაშუქების ფორმატსა და შინაარსზე დიდი გავლენა ჰქონდა სატელევიზიო მაუწყებლების პოლიტიკურ პოზიციონირებას. აღნიშნული პროტესტის გაშუქების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ფრეიმები:

1. კონფლიქტის ფრეიმი

ქართულ სატელევიზიო მედიაში სოციალური პროტესტები დიდწილად გაშუქებულია კონფლიქტის ფრეიმის გამოყენებით. „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე ჟურნალისტები ხშირად აქცენტს აკეთებენ დაპირისპირებაზე, ისინი აჩვენებენ მხოლოდ პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეხლა-შემოხლას. ადგილზე მომუშავე ჟურნალისტები პირდაპირი ჩართვისას იყენებდნენ ფრაზებს: „ნამახვანჭვის მოწინააღმდეგეებსა და სამართალდამცავებს შორის დაპირისპირება მოხდა“, „ადგილზე ვითარება დამაბუღია“, „აქცია დაპირისპირებაში გადაიზარდა მას შემდეგ, რაც დემონსტრანტებმა კომპანიის მიერ აღმართული რკინის ჯებირი შეანგრიეს და პოლიციამ ადგილობრივების შეკავება სცადა“ და სხვ. პირდაპირი ჩართვისას გამოყენებული იყო შემდეგი კადრები: სამართალდამცველების მიერ აქციის მონაწილეების დაკავების მომენტები. ხელჩართული დაპირისპირება და აგრესიული შეხლა-შემოხლა. გაშუქებისას მხოლოდ ზემოთ მოხმობილი ფრაზების გამოყენება ქმნის დრამატულ ნარატივს, რაც ზრდის მაყურებლის ინტერესს და ტელეარხის რეიტინგს, თუმცა ამახინჯებს პროტესტის რეალური მიზნების წარმოჩენას და ხელს უწყობს პროტესტის გამომწვევი მიზეზების უგულებელყოფას.

2. პოლიტიკური ინსინუაციების ფრეიმი

ზოგჯერ პროტესტის გაშუქებისას მედიასაშუალებები, მაგალითად, „იმედი“ და „რუსთავი 2“ ყურადღებას ამახვილებდნენ პროტესტის ორგანიზატორების პოლიტიკურ კავშირებზე. ტელემაუწყებლების

გაშუქებაში ხშირად ისმოდა შემდეგი ფრაზები: „ნამახვანჭვის პროტესტის უკან ოპოზიციური ძალების ინტერესები იკვეთება“, „აქცია პოლიტიკური სპეკულაციების საგნად იქცა“ და სხვ. აღნიშნული ფრეიმის გამოყენება მცდელობა იყო იმისა, რომ პროტესტი წარმოჩენილიყო როგორც ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მიერ მართული, რითაც შესაძლოა შემცირებულიყო მისი ლეგიტიმაცია.

3. სოციალურ - ეკონომიკური ფრეიმი

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის და პოლიტიკური ინსინუაციების ფრეიმები ნამახვანჭვის საკითხის გაშუქებისას დომინირებდა, ზოგიერთი მედიასაშუალება, მაგალითად, „პალიტრანიუსი“ და „საზოგადოებრივი მაწყებელი“, ასევე იყენებდა სოციალურ - ეკონომიკურ ფრეიმს, რომელიც ფოკუსირებული იყო პროტესტის მონაწილეთა სოციალურ პრობლემებსა და მოთხოვნებზე. წინადადებები, რომლებითაც ეს ტელეარხები ხშირად აღწერდნენ პროცესს, იყო შემდეგნაირი: „ნამახვანჭვის მშენებლობა სოფლებს ჩაძირავს, რის გამოც ადგილობრივები სასოწარკვეთილნი არიან“, „პროექტი რეგიონის ეკონომიკას და გარემოს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს“ და სხვ. დასახელებული ფრეიმი აუდიტორიის წინაშე წარმოაჩენს უფრო ფართო კონტექსტს და აჩვენებს იმას, თუ რატომ გაჩნდა პროტესტი.

4. პროტესტის მონაწილეთა განწყობის ფრეიმი

იყო შემთხვევა, როდესაც მედიასაშუალება „პალიტრანიუსმა“ გააშუქა პროტესტის მონაწილის პერსონალური ისტორია და მისი შეხედულება. აღნიშნულ სიუჟეტში ისმოდა შემდეგნაირი ფრაზები: „ჩვენ აქ ვდგავართ ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობებისთვის“, „ეს ბრძოლა მხოლოდ ნამახვანჭვსზე არაა, ეს ჩვენი წინაპრების მიწების და სახლ-კარის დაცვაა“, „ხელისუფლება არაფრად გვაგდებს“ და სხვ. სიუჟეტში ნაჩვენებია იყო შემდეგი კადრები: ადგილობრივი მოსახლეობის ემოციური სახეები, ცრემლები, ოჯახური სურათები და პირადი ისტორიები. მსგავსი მედიასახვა ემოციურ კონტაქტს ამყარებს მაყურებელთან და ხელს უწყობს საკითხისადმი ემპათიის გაჩენას.

5. ფორმალური და ოფიციალური ფრეიმი

ზოგიერთი სატელევიზიო არხი, უმეტესად „იმედი“ და „რუსთავი 2“, ნამახვანჭვის საკითხის გაშუქებისას უპირატესობას ოფიციალურ წყაროებს ანიჭებდა და ძირითადად, სახელმწიფოს ან კომპანიის მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს აშუქებდა. ჟურნალისტების და საინფორმაციო წამყვანების მხრიდან გამოყენებული იყო შემდეგი ფრაზები: „ნამახვანჭვის პროექტი ენერგოდამოუკიდებლობისთვის

მნიშვნელოვანია, აცხადებს მთავრობა“, „ეკონომიკის სამინისტრომ განმარტა, რომ პროექტი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება“, „პროტესტის მიუხედავად, ხელისუფლება მოლაპარაკებებისთვის მზად არის“ და სხვ. სიუჟეტებსა და რეპორტაჟებში ხშირად აჩვენებდნენ ისეთ კადრებს, როგორებიცაა: მთავრობის წარმომადგენლების პრესკონფერენციები, ოფიციალური დოკუმენტების კადრები და ანალიტიკური გრაფიკები, საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის ამსახველი ვიზუალიზაციები. მსგავსი კუთხით გაშუქებისას პროტესტის ორგანიზატორების და მონაწილეების ხმა ხშირად დახმული ან სავსებით უგულებელყოფილია.

6. განვითარებისა და პროგრესის ფრეიმი

აღნიშნული ფრეიმი ხშირად გამოიყენებოდა „იმედსა“ და „რუსთავი 2“ - ზე, რომლებიც პროტესტის წინააღმდეგ ნარატივს ავითარებენ. წინადადებები და ფრაზები, რომლებსაც იყებებდნენ გაშუქებისას, იყო შემდეგნაირი: „პროტესტი ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას“, „ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა შეუძლებელი იქნება მსგავსი მასშტაბის პროექტების გარეშე“ და სხვ. ხოლო კადრები, რომლებიც ხშირად იყო გამოყენებული სიუჟეტებში მოიცავდა შემდეგს: ჰესის მშენებლობის კადრები, ტექნოლოგიური ინოვაციების ჩვენება, ენერგეტიკის სამინისტროში მომზადებული პრეზენტაციები, დიაგრამები და ინფოგრაფიკები. ამ შემთხვევაში, პროტესტი წარმოჩენილი იყო როგორც ეკონომიკური განვითარებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი, ხოლო პროექტი, როგორც ქვეყნის წინსვლისა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის გზა.

7. პროტესტის ლეგიტიმურობის ფრეიმი

მოცემული ფრეიმი დომინირებდა „იმედსა“ და „რუსთავი 2“ - ზე, ამ გზით ისინი ცდილობდნენ ეჩვენებინათ, სამართლებრივად რამდენად საფუძვლიანი იყო აქცია და იყო თუ არა პროტესტი კანონიერი. ყურადღება გამახვილებული იყო ხელშეკრულებაზე, პროექტსა და კომპანიის მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობისთვის მცირედი კომპენსაციის გადახდაზე. ხშირად დომინირებდა შემდეგი ფრაზები: „ნამახვანჰესის პროექტი საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით ხორციელდება“, „ხელშეკრულება საქართველოსთვის ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს“, „ადგილობრივ მოსახლეობას უკვე გადაეცა კომპენსაცია, რაც კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილია“, „აქცია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიმდინარეობს“ და სხვ. სიუჟეტები და რეპორტაჟები, რომლებშიც დომინირებდა აღნიშნული ფრაზები, შუქდებოდა შემდეგი კადრებით: პოლიციის მხრიდან მშვიდი, „კანონის დაცვით“ მოქმედების ამსახველი სცენები და მთავრობის წარმომადგენლების პრესკონფერენციები. აღნიშნული ფრეიმის გამოყენება მიზნად ისახავდა ხელისუფლების მხრიდან

დემონსტრანტების დისკრედიტაციას და პროტესტის უკანონოდ და არალეგიტიმურად წარმოჩენას.

აღსანიშნავია ისიც, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ ყურადღებას ამახვილებდნენ „რიონის ხეობის მცველებისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციებზე. ამ არხებზე ხშირად ჩანდნენ ადგილობრივი აქტივისტები და გარემოს დამცველი ექსპერტები. „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე ფოკუსი გადატანილი იყო მთავრობისა და კომპანიის ოფიციალურ განცხადებებზე, რაც პროტესტის შიდა სამოქალაქო მოძრაობის სახეს ნაკლებად აჩენდა და მას უფრო კონფლიქტურ კონტექსტში წარმოადგენდა.

გაშუქებისას მაყურებლის ემოციებზე ზემოქმედებისთვის მედიამ სხვადასხვა ხერხი გამოიყენა. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ იყენებდნენ “ემოციურ ეფექტებს”, რაც მაყურებელში პროტესტის მონაწილეებისადმი თანაგრძნობას იწვევს. „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე აქცენტი უფრო რაციონალურ და სამართლებრივ არგუმენტებზე კეთდებოდა, რაც პროტესტის ნაკლებად ემოციურ აღქმას უწყობს ხელს.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ სატელევიზიო სიუჟეტებში ხშირად აჩვენებდნენ მშვიდობიანი პროტესტის კადრებს, ბუნებასა და ხეობას, რაც ხაზს უსვამს რეგიონის უნიკალურობას. „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე ხშირად ჩნდებოდა ძალადობრივი სცენები და ჰესის მშენებლობის პროცესის სურათები, რაც მაყურებელში პროტესტთან მიმართებით კონფლიქტური სახის შთაბეჭდილებას ტოვებს.

„საზოგადოებრივი მაუწყებელსა“ და “პალიტრანიუსზე” ფონური ხმები და პროტესტის მონაწილეთა გამოსვლები ბუნებრივად იყო ინტეგრირებული. “იმედსა” და „რუსთავი 2“-ზე კი ხშირად ისმოდა ხმამაღალი შემახილები, სკანდირებები და დამაბული ბგერები, რაც მაყურებელში შესაძლოა შფოთვას ან უარყოფით დამოკიდებულებას იწვევდეს.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ იყენებდნენ როგორც ოფიციალურ, ისე დამოუკიდებელ წყაროებს, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებს. “იმედსა” და „რუსთავი 2“-ზე კი ძირითადად კომპანიისა და სამთავრობო წყაროები ფიგურირებდა, რაც გაშუქებას ნაკლებად მრავალმხრივს ხდის. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ შედარებით დაბალანსებულ პოზიციას ინარჩუნებდნენ, თუმცა ზოგჯერ ემოციურად დატვირთულ ენას იყენებდნენ. „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე კი შეიმჩნეოდა შერჩევითი გამოტოვება, ანუ თემის უგულვებელყოფა, რაც პროტესტის რეალური მასშტაბისა და მისი მოთხოვნების ნაწილობრივ დაკნინებას ახდენს.

„საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და „პალიტრანიუსზე“ პროტესტი უფრო მეტად ისეთ ჭრილში შექედებოდა, რომ მას შესაძლოა საზოგადოების მხრიდან ემპათია და მხარდაჭერა გამოეწვია. „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის გაშუქებული სიუჟეტებიდან მკაფიოდ ჩანს: ისინი ცდილობდნენ მაყურებლები დაერწმუნებინათ, რომ პროტესტი ზედმეტად რადიკალური ფორმის და საფუძველს მოკლებული იყო. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ თავიანთი გაშუქებით მეტად უწყობდნენ ხელს პროტესტის მხარდამჭერების მობილიზაციას, ხოლო „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე ისე შექედებოდა საკითხი, რომ ის უფრო პროტესტის დემობილიზაციისკენ იყო მიმართული.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ მეტად წარმოაჩენდნენ პროტესტის მონაწილეების უსამართლობის განცდას და არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ აქტივისტების სოლიდარობას, ხოლო „იმედი“ და „რუსთავი 2“ ცდილობდნენ მაყურებელში შიშისა და ეჭვის გაჩენას.

დასკვნა

საკვლევი მასალის შესწავლიდან დასტურდება, რომ ნამახვანჭკის პროტესტი ძირითადად ორი დომინანტური ასპექტით შექედებოდა. ერთი მხრივ, როგორც ლეგიტიმური სამოქალაქო მოძრაობა, რომელიც გარემოსდაცვით და სოციალური სამართლიანობის იდეებს ემსახურებოდა და მეორე მხრივ, როგორც სახელმწიფოსთვის პოტენციურად დესტაბილიზაციის და კონფლიქტის წყარო.

მედიასახვა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა არხების პოლიტიკური მიკერძოების მიხედვით: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ მეტწილად ნეიტრალურ ან პროტესტის მხარდამჭერ ნარატივებს ატარებდნენ, ხოლო „იმედი“ და „რუსთავი 2“ – ინვესტორზე ორიენტირებულ, ხშირად ნეგატიურ ფრეიმებს იყენებდნენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის, თუ როგორ იყენებდა მედია აუდიოვიზუალურ სტრატეგიებს საზოგადოებაზე ზეგავლენის მოსახდენად. პროტესტის გაშუქებისას განსხვავებული რაკურსები, ქრონომეტრაჟი, ვიზუალური ელემენტები და ხმის ეფექტები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ნარატივის ჩამოყალიბებაში. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „პალიტრანიუსი“ პროტესტის მშვიდობიან ხასიათზე ამახვილებდნენ ყურადღებას მაშინ, როდესაც „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე უფრო ხშირად ჩნდებოდა დაძაბული, კონფლიქტური კადრები.

გარდა ამისა გამოიკვეთა, რომ მედიის მიერ შერჩეული ნარატივები და ფრეიმები შეიძლება იქცეს არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის ინსტრუმენტად, არამედ საზოგადოების ემოციური და პოლიტიკური მობილიზაციის საშუალებადაც. როდესაც სატელევიზიო მედია პროტესტს პოზიტიურ კონტექსტში განიხილავს, ის აძლიერებს საზოგადოებრივ მხარდაჭერას, ხოლო ნეგატიური გაშუქება, სადაც აქცენტი კეთდება დესტაბილიზაციასა და სამართალდარღვევებზე, ხელს უწყობს დემონსტრანტების დელეგიტიმაციას.

კვლევის შედეგად ასევე დადასტურდა, რომ ქართულ სატელევიზიო მედიაში გარკვეული თემების უგულვებელყოფა ან პრიორიტეტის მინიჭება მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმავე არხის სარედაქციო პოლიტიკით, რომელიც აშუქებს შესაბამის მოვლენას. მაგალითად, „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ის სიუჟეტებში თითქმის არ ფიგურირებდა დამოუკიდებელი, გარემოსდამცველი ექსპერტების მოსაზრებები, რომლებიც ჰესის მშენებლობისგან გამოწვეულ პოტენციურ ზიანს შეეხებოდა მაშინ, როდესაც „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და „პალიტრანიუსზე“ ეს საკითხი შედარებით ხშირად იყო გაშუქებული.

მოცემულმა კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოს სატელევიზიო მედიაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია და დიდი გამოწვევაა მიუკერძოებლობისა და ჟურნალისტური ეთიკის დაცვა, განსაკუთრებით ისეთი საკითხების გაშუქებისას, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ რეზონანსს იწვევენ. ნამახვანჰესის პროტესტის შემთხვევა ნათლად აჩვენებს, რომ მედია არ არის მხოლოდ ნეიტრალური ინფორმაციის გადამცემი, მის მიერ არჩეული ფრეიმები, გამოყენებული ვიზუალური და ტექსტური ელემენტები, წყაროთა ბალანსი და ფრეიმები პირდაპირპროპორციულად განაპირობებს საზოგადოებრივ აღქმას. აღსანიშნავია ისიც, რომ მედია ხშირად ხდება პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გამტარებელი, რაც ზღუდავს პროტესტების ობიექტურ და მრავალმხრივ გაშუქებას.

კვლევის ერთ-ერთი მიგნება ასევე არის ის, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია არსებობა ისეთი მედიაპლატფორმებისა, რომლებიც შეძლებენ დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისთვის. მედიას, რომელიც ჟურნალისტურ სტანდარტებს იცავს, შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ინფორმირებული დისკუსიის ჩამოყალიბებას და საკამათო თემების სიღრმისეულ ანალიზს.

Salome Belkania

PhD Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Major Aspects and Frames in the Television Coverage of Social Protests: The Namakhvani HPP Case Study

Abstract

This article examines and analyzes the characteristics of media coverage of the social protests against the Namakhvani HPP project in Georgian television media. Public protests against the project were actively covered by Georgian television channels in 2020-2021. Four television channels were selected for the study: “Georgian Public Broadcaster”, “Imedi TV”, “Rustavi 2”, and “Palitra News”. These media outlets presented the protests in different accents, mainly through news formats. A total of 60 videos dedicated to the protests were analyzed using the video content analysis method. The theoretical framework of the study is based on framing theory, through which the frames identified in the television reports about the Namakhvani HPP protests were examined.

The results of the study revealed a clear influence of the political affiliation of the television channels on their coverage. The protests were presented with more neutral and positive frames on “Georgian Public Broadcaster” and “Palitra News”, whereas “Imedi TV” and “Rustavi 2” emphasized the radical nature of the protests and the potential for destabilization. The study of the Namakhvani HPP protest coverage clearly demonstrates how social protests are framed in the media and how public opinion is shaped through different informational strategies.

This research topic is relevant because the protest against the Namakhvani HPP was one of the most large-scale and prolonged social protests in recent Georgian history. It had significant resonance both within society and at the governmental level. The study of the protests against the Namakhvani HPP in the context of media effects is particularly important, as this issue has not been previously examined in a scientific context in Georgia. Consequently, this article contributes to filling the gap in academic research. Furthermore, there are no existing guidelines or ethical standards in the Georgian language for media coverage of similar issues.

Keywords: Namakhvani HPP, Social Protest, Framing, Television Media, Public Perception

ბიბლიოგრაფია

მწვანე ალტერნატივა. (07. 04 2023). *greenalt.org*. ბოლო ნახვა: 07. 03 2025
<https://greenalt.org/blogs/namakhvani-hesis-winaaghmdeg-mimartuli-sakhalkho-protesti/>

ლანჩავა, გ. (2021). *ხარვეზები, დარღვევები და დაუსაბუთებელი შედეგათები ნამახვანი ჰესის პროექტის ისტორია*. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

ჭიშვილი, ა. (07. 02 2021). *ifact.ge*. ბოლო ნახვა: 07. 03 2025
<https://ifact.ge/namakhvani/>

ცეცხლაძე, ს., & გოგიაშვილი, მ. (02. 04 2019). *transparency.ge*.
[transparency.ge: https://www.transparency.ge/ge/post/vis-ekutvnis-kartuli-media](https://www.transparency.ge/ge/post/vis-ekutvnis-kartuli-media)

ნეტგაზეთი. (02. 12 2024). *netgazeti.ge*. ბოლო ნახვა: 07. 03 2025 von
<https://netgazeti.ge/news/754298/>

ბოგვერაძე, მ. (24. 03 2022). *netgazeti.ge*. ბოლო ნახვა: 07. 03 2025
<https://netgazeti.ge/business/601560/>

Azar, T. (2. 06 2021). *poynter.org*. [poynter.org: https://www.poynter.org/commentary/2021/visual-journalists-must-approach-protest-coverage-with-an-informed-perspective/](https://www.poynter.org/commentary/2021/visual-journalists-must-approach-protest-coverage-with-an-informed-perspective/)

BBC. (20. 03 2024). *bbc.co.uk*. [bbc.co.uk: https://www.bbc.co.uk/safety/resources/aztopics/demonstrations-protests-crowds](https://www.bbc.co.uk/safety/resources/aztopics/demonstrations-protests-crowds)

BBC Editorial Guidelines. (2019). *bbc.com*. [bbc.com: https://www.bbc.com/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies/guidelines](https://www.bbc.com/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies/guidelines)

Bennett, L., & Segerberg, A. (2012). The Logic of Connective Action: Digital Media and the Personalization of Contentious Politics. *Information, Communication & Society*, 15:5, 739-768.

Boykoff, J. (2006). Mass Media Manipulation. In J. Boykoff, *The Suppression of Dissent How the State and Mass Media Squelch US American Social Movements* (S. 463-506). New York: Routledge.

Castells, M. (2015). *Networks of Outrage and Hope: Social Movements in the Internet Age*. Cambridge: Polity.

Chomsky, N., & Herman, E. S. (1988). *Manufacturing Consent: The Political Economy of the Mass Media*. New York: Pantheon Books.

Committee to Protect Journalists. (25. 03 2019). *cpj.org*. [cpj.org: https://cpj.org/2019/03/covering-elections-journalist-safety-kit/#rallies](https://cpj.org/2019/03/covering-elections-journalist-safety-kit/#rallies)

Entman, R. M. (1993). Framing: Toward Clarification of a Fractured Paradigm. *Journal of communication*, 51-58.

Gamson, W. A. (1990). *The Strategy of Social Protest*. Belmont, Calif: Wadsworth Pub Co.

Gitlin, T. (2003). *The Whole World Is Watching Mass Media in the Making and Unmaking of the New Left*. Berkeley, Los Angeles, London: University of California Press.

Goffman, E. (1986). *Frame Analysis: An Essay on the Organization of Experience*. Boston: Northeastern University Press.

Hintz, A., Dencik, L., & Wahl-Jorgensen, K. (2019). *Digital Citizenship in a Datafied Society*. Cambridge: Polity.

Huber, M. (2020). Video-based Content Analysis. In M. Huber, & D. Fröhlich, *Analyzing Group Interactions. A Guidebook for Qualitative, Quantitative and Mixed Methods* (S. 37-48). London: Routledge.

Iyengar, S. (1991). *Is Anyone Responsible? How Television Frames Political Issues*. Chicago and London: Chicago University Press.

jam - news. (13. 05 2021). *jam-news.net*. ծովոր նսեցյա: 07. 03 2025 <https://jam-news.net/ge/ara-namakhvanhess-ratom-aprotesteben-saqartveloshi-didi-hesebis-msheneblobas/>

Johnston, H., & Noakes, J. A. (2005). Frames of Protests: A Road Map to a Perspective. In H. Johnston, & J. A. Noakes, *Frames of Protest: Social Movements and the Framing Perspective* (S. 1-33). USA: Rowman & Littlefield.

McLeod, D. M. (2007). News Coverage and Social Protest: How the Media's Protect Paradigm Exacerbates Social Conflict. *Journal of Dispute Resolution*(Issue 1), 2.

Modigliani, A., & Gamson, W. A. (1989). Media Discourse and Public Opinion on Nuclear Power: A Constructionist Approach. *American Journal of Sociology*, 1-37.

Nelson, T. E., Clawson, R. A., & Oxley, Z. M. (1997). Media Framing of a Civil Liberties Conflict and Its Effect on Tolerance. *The American Political Science Review*, 567-583.

oxfordbibliographies.com. (28. 10 2020). *oxfordbibliographies.com*.
oxfordbibliographies.com:
<https://www.oxfordbibliographies.com/display/document/obo-9780199756841/obo-9780199756841-0005.xml>

Snow, D., & Benford, R. D. (1992). Master Frames and Cycles of Protest. In A. D. Mueller, *Frontiers in Social Movement Theory* (S. 133-155). New Haven, Conn.: Yale University Press.

Society of Professional Journalists. (2014). *spj.org*. spj.org:
<https://www.spj.org/pdf/spj-code-of-ethics.pdf>

Tewksbury, D., & Scheufele, D. A. (2007). Framing, Agenda Setting, and Priming: The Evolution of Three Media Effects Models. *Journal of Communication*, 9-20.

Tilly, C. (2019). *Social Movements, 1768-2004*. New York: Routledge.

Tufekci, Z. (2017). *Twitter and Tear Gas: The Power and Fragility of Networked Protest*. New Haven & London: Yale University Press.

Walsh, L. (04. 06 2020). *quillmag.com*. quillmag.com:
<https://www.quillmag.com/2020/06/04/ethics-should-journalists-take-photos-and-video-of-protesters/>